

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ბრძანება N 01-02/40

ქ. ბათუმი

11 თებერვალი, 2022 წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ (2021 წლის მიღება) საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კოორდინატორის) 2022 წლის 10 თებერვლის N 130474 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) **მადონა მიქელაძე** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) **მანანა პატარაია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
- გ) **მამუკა გოგელია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კოორდინატორის), კომისიის წევრი;
- დ) **რეზო ვასაძე** - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი, წევრი;
- ე) **ბიძინა კოჩალიძე** - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი;
- ვ) **რუსლან დავითაძე** - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მონიტორინგის სამსახურის უფროსი, დამსაქმებელი, წევრი;
- ზ) **გიორგი სურმანიძე** - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მონიტორინგის სამსახურის მეტყევე სპეციალისტი;

ზ) ჯუმბერ აბულაძე - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე, დამსაქმებელი, წევრი;

2. კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანებით, მსმენელების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. კომისიამ იმუშაოს 2022 წლის 16 თებერვალს, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ვებზეში: „რექტორის აქტები“ და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაში